მოსამართლეების მიერ მიღებული საჩუქრები

2020 - 2022



სტატია მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - *ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და გამჭვირვალობის სტანდარტების გაზრდა* - ფარგლებში.
პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.
სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 5

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები 6

მოსამართლეების მიერ მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები 9

მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები 13

დასკვნა 15

ძირითადი მიგნებები

- 2020-2022 წლებში 49 მოსამართლემ ან მისმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 5 მილიონ ლარს;

- 2020-2022 წლებში 3 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვს უშუალოდ დეკლარანტ მოსამართლეებს, ხოლო 2 მილიონი ლარის საჩუქარი - მათი ოჯახის რომელიმე წევრს;

- მოსამართლეებმა საჩუქრების 91% (4.5 მლნ. ლარი) მიიღეს ოჯახის წევრებისგან/ახლო ნათესავებისგან, 8% (430 ათასი ლარი) ისეთი ნათესავებისგან რომელთაგან საჩუქრის მიღება შეზღუდულია კანონმდებლობით, ხოლო 1% (33.4 ათასი ლარი) სხვა წყაროდან;

- მოსამართლეებს 2.3 მილიონი ლარის ღირებულის საჩუქარი მიღებული აქვთ ფულადი ფორმით, 2.6 მილიონი ლარის საჩუქარი - უძრავი ქონების სახით, ხოლო დანარჩენი 129.5 ათასი ლარის ღირებულების საჩუქრები ავტომობილების ან სხვადასხვა ფასიანი ნივთების სახით;

- საკონსტიტუციო სასამართლო წევრებიდან, 2020-2022 წლებში საჩუქარი მიღებული აქვს მხოლოდ ევა გოცირიძეს - ოჯახის წევრისგან ფულადი თანხა 19.6 ათასი ევრო.

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებიდან მშობლებისგან ძვირადღირებული საჩუქრები მიიღეს ალექსანდრე წულაძემ (მიწის ნაკვეთი, 200 000 USD) და გიორგი მიქაუტაძემ (ფულადი თანხა, 100 000 USD);

- 2020-2022 წლებში 18 მოსამართლის მიერ მიღებული საჩუქრების ღირებულება აღემატება 100 ათას ლარს;

- ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სანქცირებული (მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობის გამო) მიხეილ ჩინჩალაძის ოჯახის წევრებს (მეუღლეს და შვილს) 2020-2022 წლებში მეუღლის დედამ უცხოეთიდან საჩუქრის სახით გამოუგზავნა 68,8 ათასი აშშ დოლარი და 2.3 ათასი ლარი;

- მონიტორინგის ფარგლებში მოსამართლეების და მათი ოჯახის წევრების მიერ საჩუქრების სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების 7 შემთხვევა გამოვლინდა;

- მოსამართლეების ცალკეული დეკლარაციები, არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას, საჩუქრის მიმღებსა და გამცემს შორის კავშირის შესახებ.

შესავალი

2022 წლის 25 ოქტომბერს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კვლევა „თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები 2020-2022“, რომელიც მიმოიხილავდა აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ დეკლარირებულ ინფორმაციას. კვლევის შედეგები აჩვენებდა, რომ 2020-2022 წლებში ხშირი იყო შემთხვევები როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები იღებდნენ სოლიდური ღირებულების საჩუქრებს. ასევე, კვლევაში წარმოდგენილი გარემოებები, რომლებიც დაკავშირებული იყო საჩუქრის მიმღები თანამდებობის პირის და საჩუქრის გამცემი პირის კავშირებთან, საჩუქრისთვის საჭირო ფინანსების ბუნდოვან წარმომავლობასთან და სხვა, ეჭვებს აჩენდა მთელი რიგი შემთხვევების კანონიერებასთან დაკავშირებით.

IDFI აგრძელებს ხელისუფლების შტოების მიხედვით, თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ დეკლარირებული ინფორმაციის მონიტორინგს. წინამდებარე კვლევა მიმოიხილავს, მოსამართლეების მიერ 2020-2022 წლებში მიღებული საჩუქრების შესახებ დეკლარირებულ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეები არ წარმოადგენენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საჯარო მოსამსახურეებს, მათზე ვრცელდება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მოქმედება, მათ შორის საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციები. შესაბამისად, მოსამართლეების შემთხვევაშიც საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით არსებობს იდენტური შეზღუდვები, რაც სხვა საჯარო მოსამსახურეებზე. კერძოდ, მოსამართლეებს **ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაზე. წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრის ღირებულება 5%-ს. ოჯახის თითოეული წევრის მიერ წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1,000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრის ღირებულება 500 ლარს.** „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონი, საჯარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით აწესებს გამონაკლისებს. მათ შორის, **კანონის მიზნებისთვის საჩუქრად არ ითვლება ოჯახის წევრისგან და ახლო ნათესავისგან მიღებული საჩუქარი. საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრისთვის, რომელიც მიიღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს.**

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია მოსამართლეების მიერ 2020-2022 წლებზე[1] შევსებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები, რომელიც ერთი მხრივ, ავლენს ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრების მიმღებ პირებს, ხოლო მეორე მხრივ, მიმოიხილავს მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევებს.

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2020-2022 წლებში 49 მოსამართლემ ან მათმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 5 მილიონ ლარს. მათ შორის, 2020 წელს მიღებული საჩუქრების ღირებულებაა - 513.9 ათასი ლარი, 2021 წელს - 2.3 მილიონი ლარი, ხოლო 2022 წელს - 2.1 მილიონი ლარი. 2022 წელს, მიღებული საჩუქრების რაოდენობა არ ფარავს ყველა მოსამართლეს, ვინაიდან 2022 წლის მონაცემები ასახულია 2023 წლის დეკლარაციებში, ხოლო 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, დეკლარაციები წარდგენილი არ აქვს მოსამართლეთა გარკვეულ ნაწილს.



მოსამართლეების მიერ დეკლარირებული ინფორმაციის მიხედვით, 2020-2022 წლებში 3 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვთ უშუალოდ დეკლარანტ თანამდებობის პირებს, ხოლო 2 მილიონი ლარის საჩუქარი - მათი ოჯახის რომელიმე წევრს. მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულების ანალიზის დროს, მაქსიმალურად გამოირიცხა ისეთი შემთხვევები როდესაც ორი სხვადასხვა მოსამართლე წარმოადგენს ერთი ოჯახის

[1] თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციის შევსების წესის მიხედვით, დეკლარაციაში აისახება წინა წელს მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, კვლევაში გაანალიზებული 2021-2023 წლებში შევსებული დეკლარაციები ფარავს თანამდებობის პირების მიერ 2020-2022 წლებში მიღებული საჩუქრების შესახებ მონაცემებს.

წევრს, შესაბამისად ერთი კონკრეტული საჩუქარის შესახებ ინფორმაცია აისახება ორი სხვადასხვა თანამდებობის პირის დეკლარაციაში და მათი ხელოვნური დაჯამება გამოიწვევდა თანხების დუბლირებას. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, გიორგი მიქაუტაძეს დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ მან 2022 წელს დედისგან საჩუქრად მიიღო ფულადი თანხა 100 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული, საჩუქრის შესახებ ინფორმაცია ასევე ასახულია გიორგი მიქაუტაძის მეუღლის მაია კვირიკაშვილის დეკლარაციაში, რომელიც წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს.



„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მიხედვით, საჯარო მოსამსახურეების, მათ შორის თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების ღირებულებაზე შეზღუდვები არ არის დაწესებული თუ საჩუქრის გამცემს წარმოადგენს ახლო ნათესავი. კანონის მიზნებისთვის ახლო ნათესავებს მიეკუთვნება: ოჯახის წევრები, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ნათესავები (დედა, მამა. ბებია, ბაბუა, შვილი, შვილიშვილი), და-ძმა, მშობლის გერი, შვილის გერი. მოსამართლეების მიერ, დეკლარაციებში საჩუქრის გამცემთან კავშირის გრაფაში მითითებული მონაცემების მიხედვით, 2020-2022 წლებში, დეკლარირებული საჩუქრების დიდი ნაწილი (4.5 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი) დეკლარანტებს ან მათი ოჯახის წევრებს მიღებული აქვთ კანონით განსაზღვრული ახლო ნათესავებისგან. დანარჩენი საჩუქრებიდან, 429.9 ათასი ლარის საჩუქარი მიღებული აქვთ ნათესავებისგან, რომელსაც კანონმდებლობა არ მოიაზრებს ახლო ნათესავად (მაგალითად, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, მეუღლის ნათესავები და ა.შ.) და შესაბამისად ეს შემთხვევები ხვდებიან საკანონმდებლო შეზღუდვებში. ხოლო 33.4 ათასი ლარის ღირებულების საჩუქრის გამცემად მითითებულია სხვა კავშირი.



2020-2022 წლებში მოსამართლეებს და მათ ოჯახის წევრებს 2.3 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვთ ფულადი ფორმით, 2.6 მილიონი ლარის საჩუქარი - უძრავი ქონების სახით, ხოლო დანარჩენი 129.5 ათასი ლარის ღირებულების საჩუქრები წარმოადგენს ავტომობილებს ან სხვადასხვა ფასიან ნივთებს.



2020-2022 წლებში მოსამართლეების მიერ მიღებული საჩუქრებიდან, 2,2 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქრები მიემართა საქალაქო და რაიონული სასამართლოს მოსამართლეებზე და მათი ოჯახის წევრებზე. 1.8 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქრები - სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებზე, 935.7 ათასი ლარის საჩუქრები - უზენაესი სასამართლოს

მოსამართლეებზე. ხოლო დანარჩენი თანხა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის მიერ ოჯახის წევრისგან მიღებულ 19.6 ათასი ევროს ოდენობის ფულად საჩუქარს. საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა წევრების დეკლარაციებში, 2020-2022 წლებში საჩუქრის მიღების შესახებ ცნობა არ ფიქსირდება.



მოსამართლეების მიერ მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები

2020-2022 წლებში მოსამართლეებს შორის, ყველაზე ძვირადღირებული საჩუქარი მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ალექსანდრე წულაძემ, რომელსაც 2021 წელს მშობელმა აჩუქა 200 ათასი აშშ დოლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ წულაძეს საკუთარ დეკლარაციაში მითითებული აქვს ამ ქონების წარმომავლობა და საკადასტრო კოდი. ასევე, 2021 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ნინო ონიანს მშობელმა აჩუქა 600 ათასი ლარის ღირებულების ბინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ვეფხია ლომიძემ 2022 წელს საკუთარი მეუღლისგან საჩუქრად მიიღო 300 ათას ლარად ღირებული სარდაფი. დეკლარაციაში არსებული განმარტების მიხედვით, ეს უძრავი ქონება ლომიძის მეუღლეს საკუთრებაში

დაუბრუნდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რის შემდეგაც მას გადასცა საჩუქრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გიორგი მიქაუტაძეს 2022 წელს დედამ აჩუქა ფულადი თანხა 100 ათასი აშშ დოლარი. ხოლო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ (მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობის გამო) სანქცირებული მიხეილ ჩინჩალაძის ოჯახის წევრებს (მეუღლეს და შვილს) 2020-2022 წლებში მეუღლის დედამ უცხოეთიდან საჩუქრის სახით გამოუგზავნა 68,8 ათასი აშშ დოლარი და 2.3 ათასი ლარი.

მოსამართლეების და მათი ოჯახის წევრების მიერ მიღებულ ყველაზე ძვირადღირებულ საჩუქრებს შორის არის, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლის ვლადიმერ ხუჭუას მეუღლის მიერ, მამისგან საჩუქრად მიღებული ფულადი თანხა 50 ათასი აშშ დოლარი. დეკლარაციაში არსებული განმარტების მიხედვით, მოსამართლის მეუღლემ საჩუქარი მიიღო მშობლის მიერ 1997 წელს შეძენილი უძრავი ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხიდან[2].



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

[2] მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუას მეუღლის მიერ მიღებული ფულადი საჩუქრის შესახებ ნარატიული აღწერა კვლევას დაემატა 2023 წლის 3 ნოემბერს. აღნიშნული ჩასწორების საფუძველს წარმოადგენდა მოსამართლის მიერ 2023 წლის 2 ნოემბერს IDFI-სთვის გამოგზავნილი წერილი, სადაც ის აფიქსირებდა სურვილს, საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირებისთვის, კვლევაში დამატებით ასახულიყო საჩუქრის წარმომავლობასთან დაკავშირებით მის დეკლარაციაში არსებული ცნობა.

მოსამართლეების მიერ, ერთჯერადად მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები, საჩუქრის სახეების მიხედვით				
ფულადი საჩუქარი				
მოსამართლე	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
გიორგი მიქაუტაძე	დეკლარანტი	100,000 USD	დედა	2022
ვლადიმერ ხუჭუა	მეუღლე	50,000 USD	მამა	2022
თამარ ალანია	შვილი	40,000 USD	მამიდა	2021
ეკატერინე ყანჩელი	დეკლარანტი	40,000 USD	დედა	2020
ირინე ტყეშელაშვილი	დეკლარანტი	35,000 USD	დედა	2021
უძრავი ქონება				
მოსამართლე	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
ალექსანდრე წულაძე	დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი, 200,000 USD	მშობელი	2021
ნინო ონიანი	დეკლარანტი	ბინა, 600,000 GEL	მამა	2021
ვეფხია ლომიძე	დეკლარანტი	სარდაფი, 300,000 GEL	მეუღლე	2022
ნინო ჭალიძე	შვილი	უძრავი ქონება, 80,000 USD	მამა	2022
დიანა ბერეკაშვილი	დეკლარანტი	უძრავი ქონება, 59,000 USD	და	2021
ავტომობილი და სხვა ნივთები				
მოსამართლე	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
ეკატერინე ბებია	დეკლარანტი	ავტომანქანა, 17,000 USD	დედა	2021
ხათუნა ბოლქვაძე	დეკლარანტი	ავტომობილი, 10,000 USD	ძმა	2022
ეკატერინე ცისკარაძე	მეუღლე	ავტომანქანა MERCEDES-BENZ ML350	შვილი	2021

		გამოშვების წელი 2006, 5,000 USD		
ლელა ჭინჭარაული	დეკლარანტი	საჩუქარი, 3,500 GEL	ნათესავი	2022
ელენე გოგუაძე	დეკლარანტი	ძვირფასი ლითონის სამკაული, 3500 GEL	შვილი	2022

ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრების მიმღებ მოსამართლეებს შორის არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნინო ჭალიძე, რომლის შვილმაც მამისგან მიხეილ ბებიაშვილისგან საჩუქრად მიიღო 80 ათასი აშშ დოლარი ღირებულების ბინა. მიხეილ ბებიაშვილი არის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. მის დეკლარაციაში აღნიშნულია რომ, 2022 წელს მისი ყოფილი მეუღლისგან საჩუქრის სახით 31 ათასი ლარი, ხოლო შვილისგან 10.3 ათასი ლარი მიიღო. შესაბამისად, მოსამართლე მიხეილ ბებიაშვილმა 2022 წელს თავის შვილს საჩუქრად გადასცა 80 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ბინა, ხოლო სანაცვლოდ მისი შვილისგან და ყოფილი მეუღლისგან ასევე საჩუქრად მიიღო 41,3 ათასი ლარი.

declaration.acb.gov.ge გვერდი 12

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი	შენიშვნა
რატი ბებიაშვილი	უძრავი ქონება, 80000 USD	მამა - მიხეილ ბებიაშვილი	

ამონარიდი ნინო ჭალიძის 2023 წლის დეკლარაციიდან

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი	შენიშვნა
მიხეილ ბებიაშვილი	ფულადი თანხა, 10300 GEL	შვილი	
მიხეილ ბებიაშვილი	ფულადი თანხა, 31000 GEL	ყოფილი მეუღლე	

ამონარიდი მიხეილ ბებიაშვილის 2023 წლის დეკლარაციიდან

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება						
ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ მფლობელის პროცენტული წილი)	ქონების სახეობა	შეძენის თარიღი	შეძენის ფორმა	გადახდილი საფასურის ოდენობა	ქონების ადგილმდებარეობა, საერთო ფართობი	თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრეები (თუ თანამესაკუთრე თქვენი ოჯახის წევრია მიუთითეთ მისი პროცენტული წილი)
მიხეილ ბებიაშვილი 100%	საცხოვრებელი სახლი	2014	ნასყიდობა	80000USD	საქართველო, თბილისი, თიანეთის ქ. 113ა ს.კ. 011203039/015, 229,1 კვ.მ	

ამონარიდი მიხეილ ბებიაშვილის 2021 წლის დეკლარაციიდან

მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები

ცალკეული მოსამართლეების მიერ შევსებული დეკლარაციების მიხედვით, დეკლარანტ თანამდებობის პირზე ან/და მის ოჯახის წევრზე საჩუქარი გაცემულია ისეთი ნათესაური კავშირის მქონე პირისგან რომელსაც კანონმდებლობა არ მოიაზრებს ახლო ნათესავად (მაგალითად, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი და ა.შ.) და შესაბამისად ასეთი შემთხვევა ექცევა საკანონმდებლო შეზღუდვაში. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა თითოეული მსგავსი შემთხვევა. თანამდებობის პირების მიერ საჩუქრის კანონის დარღვევით მიღების საეჭვო შემთხვევად, მიჩნეული იქნა ისეთი საჩუქრები, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს:

- საჩუქარი მიღებული არ არის ახლო ნათესავისგან ან დეკლარაციაში ასახული ცნობა არ იძლევა საჩუქრის გამცემთან კავშირის დადგენის შესაძლებლობას;
- მიღებული საჩუქრის ღირებულება აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს;
- საჩუქრის მიღების პერიოდში, თანამდებობის პირი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს;
- დეკლარაციაში არ არის მითითებული, მიღებული საჩუქრის შესახებ ისეთი განმარტება რომელიც დაადასტურებდა მის კანონიერებას.

მოსამართლეების დეკლარაციების შესწავლით სულ გამოვლინდა 7 საეჭვო შემთხვევა. მათ შორის მხოლოდ ერთ შემთხვევაში წარმოადგენდა საჩუქრის მიმღებს უშუალოდ დეკლარანტი მოსამართლე. აღნიშნულ შემთხვევად განხილულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიხეილ ბებიაშვილის მიერ ყოფილი მეუღლისგან საჩუქრად მიღებული ფულადი თანხა - 31 ათასი ლარი. დანარჩენ 6 შემთხვევაში, საჩუქარი მიღებულია მოსამართლის ოჯახის წევრის მიერ, ხოლო ძვირადღირებული საჩუქრის გამცემს წარმოადგენს ისეთი ნათესაური კავშირის მქონე პირი, რომელიც კანონის მიზნებისთვის არ მიეკუთვნება ახლო ნათესავთა ჯგუფს, ხოლო მიღებული საჩუქრის ღირებულება აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს

მოსამართლეების თამარ ალანიას, ნათია გუჯაბიძის და ნატალია ნაზღაიძის შვილებმა საჩუქრები მიიღეს მამიდისაგან. თბილისის სააპელაციო სასამართლო მოსამართლეების ეკატერინე ცისკარიძის და მანანა ჩოხელის მეუღლეებმა ბიძაშვილისგან და დეიდაშვილისგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **თუ თანამდებობის პირი იღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს,** ამისთვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლით. თუმცა, პასუხისმგებლობის ზომის გარეშე რჩება თანამდებობის პირების ოჯახის წევრების მიერ კანონით აკრძალული საჩუქრების მიღების შემთხვევები, რაც შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც კანონმდებლობის გარკვეული ხარვეზი. მაგალითად, **თუ კანონით აკრძალულ საჩუქარს იღებს თანამდებობის პირის ოჯახის წევრი, ასეთ შემთხვევაში;**

- იგი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინოს ინფორმაცია და საჩუქარი გადასცეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.
- თუ არ ასრულებს ამ ვალდებულებას 3 დღის ვადაში, ის დაარღვევს კანონს, თუმცა კანონის დარღვევისთვის ოჯახის წევრს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა არც სისხლის და არც ადმინისტრაციული წესით. **ბიურო ვერ ცნობს ოჯახის წევრს სამართალდამრღვევად**.
- თუ ოჯახის წევრი იღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს და ეს დეკლარაციაში არ წერია ან/და არასრულყოფილად წერია, **ამისთვის მხოლოდ საჯარო მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.**
- თუ ოჯახის წევრი იღებს აკრძალულ საჩუქარს და დეკლარაცია სწორადაა შევსებული, არც საჯარო მოსამსახურე და არც ოჯახის წევრი არ დაისჯებიან არც სისხლის და არც ადმინისტრაციული წესით.

შესაბამისად, ქვემოთ განხილული შემთხვევები შესაძლებელია შეფასდეს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევად, რისი დადასტურების შემთხვევაშიც რაიმე პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება არ არის გათვალისწინებული.

მოსამართლეების და მათი ოჯახის წევრების მიერ მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები					
სახელი, გვარი	თანამდებობა	საჩუქრის მიმღები	საჩუქარი	საჩუქრის გამცემი	წელი
მიხეილ ბებიაშვილი	ქუთაისის საქალაქო სასამართლო მოსამართლე	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 31000 GEL	ყოფილი მეუღლე	2022
თამარ ალანია	თბილისის სააპელაციო სასამართლო მოსამართლე	შვილი	თანხა, 40000 USD	მამიდა	2021
ნათია გუჯაბიძე	თბილისის სააპელაციო სასამართლო მოსამართლე	შვილი	ბინა, 30000 GEL	მამიდა	2020
ეკატერინე ცისკარიძე	თბილისის სააპელაციო სასამართლო მოსამართლე	მეუღლე	მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით, 70000 GEL	ბიძაშვილი	2022
ნატალია ნაზღაიძე	თბილისის სააპელაციო სასამართლო მოსამართლე	შვილი	მიწის ნაკვეთი, 25000 GEL	მამიდა	2022
თამარ ლაკერბაია	თბილისის საქალაქო სასამართლო მოსამართლე	შვილი	უძრავი ქონება (ბინა), 20000 GEL	ნათესავი (ბებიას და)	2021
მანანა ჩოხელი	თბილისის სააპელაციო სასამართლო მოსამართლე	მეუღლე	ფულადი , 5000 USD	დეიდაშვილი	2022

დასკვნა

მოსამართლეების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ 2020-2022 წლებში, აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების მსგავსად ხშირია შემთხვევები როდესაც ისინი იღებდნენ სოლიდური ღირებულების საჩუქრებს. ერთეული შემთხვევის გარდა, მოსამართლეებზე საჩუქრები გაცემულია იმ პირთა წრისგან რომელთაგან საჩუქრის მიღება არ ექვემდებარება საკანონმდებლო შეზღუდვებს. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კითხვებს აჩენს საჩუქრისთვის საჭირო ფინანსების წარმომავლობა, რისი სრულფასოვანი შესწავლაც დამატებითი მოკვლევის ჩატარებას საჭიროებს. ამ მხრივ, განსაკუთრებულად მაღალი რისკის შემცველად შესაძლებელია შეფასდეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ „მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობის გამო“ დასანქცირებული თუ ე.წ. სასამართლო კლანის სხვა წევრების მიერ ოჯახის წევრებისგან მიღებული სოლიდური ფულადი საჩუქრები. მაგალითად,

სააპელაციოს სასამართლოს სანქცირებული მოსამართლის მიხეილ ჩინჩალაძის ოჯახის წევრების მიერ უცხოეთიდან მიღებული საჩუქრები (68,8 ათასი აშშ დოლარი). ასევე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გიორგი მიქაუტაძის მიერ დედისგან საჩუქრად მიღებული ფულადი თანხა 100 ათასი აშშ დოლარი და სხვა.

მოსამართლეების დეკლარაციების მაგალითზეც, საჯარო სამსახურში საჩუქრის პოლიტიკის მოწესრიგების და აღსრულების კუთხით, მნიშვნელოვან პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობის რეგულაციები და ბუნდოვანი ჩანაწერები. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა ზღუდავს საჯარო მოსამსახურეების ოჯახის წევრების მიერ გარკვეული საჩუქრების მიღებას, თუმცა ამ ნორმის დარღვევისთვის, შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები არ არის დადგენილი.

IDFI მიიჩნევს, რომ ბოლო წლებში თანამდებობის პირების, მათ შორის მოსამართლეების მიერ საჩუქრების მიღების მასშტაბი, წარმოშობს საჯარო მოსამსახურეებზე საჩუქრის გაცემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო შეზღუდვების მონიტორინგის და მისი აღსრულების ეფექტურობის ზრდის აუცილებლობას.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, თბილისი, 0108;

+995 32 2 92 15 14

Info@idfi.ge

www.idfi.ge